

პროფესორი



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-14/1476

ბ. თბილისი

02 04 2018 წ.

დოქტორანტის დისერტაციის დაცვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის, სტუ-ის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2018 წლის 31 მაისის (ოქმი №12) გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაინიშნოს დოქტორანტ ნატო თუშიშვილის (პირადი №01024017551), რომელსაც არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება, დისერტაციის დაცვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე. სადოქტორო პროგრამა - „ბიზნესის ადმინისტრირება“, სადისერტაციო თემა - „ადამიანური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება და მართვის სრულყოფა შიდა აუდიტის სისტემაში“.

სადისერტაციო კოლეგია:

- პროფესორი პაატა კოდუაშვილი (სტუ, თავმჯდომარე);
- ასოცირებული პროფესორი დალი სეხნიაშვილი (სტუ, ხელმძღვანელი);
- ასოცირებული პროფესორი ნინო ჩიკვილაძე (სტუ, რეცენზენტი);
- პროფესორი ნათია წიკლაშვილი (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რეცენზენტი);
- პროფესორი ლევან გრიგალაშვილი (სტუ);
- პროფესორი ვახტანგ დათაშვილი (სტუ);
- ასოცირებული პროფესორი თამარ ღამბაშიძე (სტუ);
- პროფესორი დავით ჩახვაშვილი (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, მოწვეული წევრი);
- ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი (თსუ, მოწვეული წევრი).

2. დისერტაციის დაცვა შედგეს 2018 წლის 9 ივლისი, 15<sup>00</sup> საათზე, სტუ-ის VI კორპუსის 710<sup>ა</sup> აუდიტორიაში.

რექტორი

არჩილ ფრანგიშვილი